ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარინა კვაჭაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

გიორგი ქოიავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.01.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №004/13

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 15.02.2013

პირი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – რ. შ.

საჩივრის მოთხოვნა: რ. შ.-სათვის ,,დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 15 იანვარს ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. შ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის მიერ შეძენილი ბინის გამყიდველები აღმოჩნდნენ თაღლითები, ამ საქმეში კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რ. შ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, რ. შ.-მ მისი არყოფნით ისარგებლა, მეზობელს სთხოვა საჩივრის ავტორის ბინის კარის გაღება და გააკეთა აზომვითი ნახაზი, რომელიც საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი რ. შ. ემუქრება ბინის წართმევით და ბინაში მცხოვრებლების ფანჯრიდან გადმოყრით. ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება შ.ს.ს ზუგდიდის პოლიციის სამმართველოში.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, რ. შ. არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით მას შეწყვეტილი აქვს უფლებამოსილება განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გამო.

2.2 მ. გ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2013 წლის 15 იანვარს.

3. სამართლებრივი შეფასება:

3.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე, ხოლო „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში."

3.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საჩივრის შემოტანის დროისათვის, რ. შ. არ არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი, შესაბამისად, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი განიხილოს რ. შ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებათა სავარაუდო დარღვევის საკითხი. რადგან რ. შ. არ არის ადვოკატი და მასზე არ ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სტანდარტები, ეთიკის კომისიას არ გააჩნია უფლებამოსილება იმსჯელოს მის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

3.3 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ

საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.“ შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე–2 პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით, მე-19, მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №004/13 რ. შ.-ს მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს საჩივრის ავტორს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარინა კვაჭაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ქოიავა/